



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 9

„ 10 „ 10 2019წ.

დადგენილება № 50

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გაიზარდოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება შემდეგი პირობითა და ოდენობით:
 - ა) აფილირებული აკადემიური პერსონალის - თანამდებობრივი სარგოს 10 %-ის ოდენობით;
 - ბ) არააფილირებული აკადემიური პერსონალის - თანამდებობრივი სარგოს 5 %-ის ოდენობით;
 - გ) ადმინისტრაციული პერსონალის - თანამდებობრივი სარგოს 10 %-ის ოდენობით.
2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადენლობით საბჭოს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე